ლელო

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთი

12 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1990. წ
№ 236 (10 405) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

გუშინ თბილისში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების საკითხი. სესიაზე ამასთან დაკავშირებით მოხსენებით გამოვიდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი **ზვიად გამსახურდია.** შემდეგ გაიმართა კამათი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, დეპუტატთა ერთსულოვანი მხარდაჭერით, მიიღო კანონი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გაუქმებულად გამოაცხადა. კანონი ძალაში შევიდა მიღებისთანავე.

ამავე სესიაზე შესაბამისი ცვლილებები შეიტანეს რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

სესიამ განიხილა აგრეთვე სხვა საკითხები, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

* * *

„ლელოს“ რედაქცია მხარს უჭერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებასთან დაკავშირებით ეროვნული უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონიერ გადაწყვეტილებას.



სამგზისტთა მსოფლიო ჩემპიონატი

წარმოგიდგენთ კანდიდატებს: საქართველოს ათი საუკეთესო სპორტსმენი.

გუნდი. მწვრთნელი

მოუვარული პროფესიონალთა შორის

ეროვნული ბიბლიოთეკ

ვასილ დავიდენკო. საგზატკეცილო ველოსპორტი
დაბადა 1970 წლის 17 მარტს, თბილისში
სპორტსაზოგადოება „შევარდენი“
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი
სიმაღლე 178 სმ, წონა — 75 კგ.
სსრ კავშირის ნაკრებშია 1987 წლიდან
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია, სწავლობს III კურსზე.
მწვრთნელები — ვიქტორ მალცევი და კარლო შენგელია.
პირველ წარმატებას მიაღწია 1984 წელს — გახდა საქართველოს „აბსოლუტური ჩემპიონი“ ტრეკზე რბოლაში ჭაბუკთა შორის (გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში, ჯგუფურ რბოლაში, გიტში და გუნდურ რბოლაში).
საუკეთესო შედეგები: 1988 წელს დანიაში იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ჯგუფურ რბოლაში კი ვერცხლის ჯილდო მოიპოვა. 1990 წელს მიგო ხაკავშირო ჩემპიონატი მრავალდღიან რბოლაში მოზრდილთა შორის.

საქართველოში საგზატკეცილო ველოსიპედისტთა დიდი შეჯიბრებები იშვიათად იმართება. ამიტომ, ქართველ გულშემატკივრებს საკმაოდ მწირი წარმოდგენა აქვთ ვასილ დავიდენკოს სპორტულ მიღწევებზე. არადა, 20 წლის სპორტსმენი უკვე სამი წელია, რაც ქვეყნის ნაკრებში გამოდის და საკმაოდ მაღალ შედეგებსაც აღწევს. დავიდენკოს კარგა ხანია თვალი დაადგეს უცხოეთის პროფესიონალმა კლუბებმაც, მაგრამ იგი ჯერჯერობით ერთგულად იცავს საქართველოს ღირსებას სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებასა და ჩემპიონატებში.

დავიდენკოს გზა ველოსპორტში ტრეკზე გამოსვლებით დაიწყო. თოთხმეტი წლისა იყო, როცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა მოიგო ოთხ სახეობაში და მაშინვე მიიქცია ყურადღება. 1987 წელს „პროფესია“ შეიცვალა და საგზატკეცილო ველოსპორტში გადავიდა, სადაც განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა მისი ნიჭი. დღეს დავიდენკო ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ „ვარსკვლავად“ ითვლება მსოფლიო ველოსპორტში.

1990 წელი დავიდენკოსთვის საკმაოდ ბარაქიანი გამოდგა და ამიტომ, მის წარმატებებს მოკლედ გადმოგცემთ.

იხ. მე-4 გვ.

მატიანე

გოკიელები ოჯახის უმცროს თაობას — მარიკას, ელენეს, რიტასა და იაკობს, რომლებიც თბილისის 107-ე შრომის გერმანულ სკოლაში სწავლობდნენ, ერთიანად გაუჯდათ სპორტის „ვირუსი“. უფროსი და — მარიკა ფრენბურთსა და მხატვრულ ტანვარჯიშს ეუფლებოდა, რიტას და ელენეს სპორტის დედოფლისკენ გაუწიათ გულმა, ძმა კი პარაშუტით ხტომაში სპორტის ოსტატის წოდებასაც „მისწვდა“ და არც ფეხბურთს თამაშობდა ურიგოდ.

მაგრამ ამ ოთხეულიდან მხოლოდ ქალბატონი ელენე შემორჩა დიდ სპორტს. მის სახელთანაა დაკავშირებული ქვეყნის მძლეოსანთა აღიარება საერთაშორისო სარბიელზე. იგი იყო პირველთაგანი, ვინც მსოფლიოს გააცნო ქართველ სპორტსმენთა ძალა და შესაძლებლობანი. ეს ომის შემდგომ წლებში მოხდა, როცა ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გამართული კონტინენტის პირველობა ტრიუმფით მოიარეს მან და ნინო დუმბაძემ. ნ. დუმბაძემ ჩემპიონობა მოიპოვა ბადროს ტყორცნაში, 80 მეტრზე თარჯრბენში კი ვერცხლის მედალი ე. გოკიელმა დაიმსახურა.

თარჯრბენის გარდა, რომელშიც ქვეყნის ჩემპიონობა და რეკორდსმენობა დაამკვიდრა, ე. გოკიელი წარმატებით გამოდიოდა სიგრძეზე ხტომასა (იყო ქვეყნის მრავალგზის პრიზიორი) და სპრინტერულ ესტაფეტაში — 4X100-ზე. იგი მძლეოსნობის ამ სახეობაშიც ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახლავთ და ტოლს არ უდებდა მრისხანე მეტოქეებს — ალექსანდრა ჩუდინასა და მარია გოლუბნიჩაიას ქვეყნის პირველობებში.

რაც შეეხება ამ სურათს, რომელზეც სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოკიელი (მარცხნივ) და მისი და — რიტაა აღბეჭდილი, იგი გადაღებულია ყოფილი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე 1938 წელს, როცა ელენემ „მოხსნა“ დის რესპუბლიკური რეკორდი 400 მეტრზე რბენაში.

უმეჯლოდ არავინ დარჩა

მოსკოვში დამთავრდა სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკთა (17-18 წელი), ახალგაზრდებსა (19-20 წელი), და მოზრდილთა (ვაჟები, ქალები) შორის. როგორც ვიუწყებოდით, ჭაბუკებში ოქროს მედალი ნიკოლოზ გაგნიაშვილმა (75 კგ) მოიპოვა. ამავე ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს კიდევ ერთი წარმომადგენელი ასპარეზობდა-კონსტანტინე კუსიდი (65 კგ), რომელმაც ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ამ ორ წონაში ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა:

65 კგ. 1. მ. ურავდოში (მონგოლეთი) 2. მ. სემიონოვი (ბულგარეთი), 3. კ. კუსიდი (სსრ კავშირი) და ი. კანო (იაპონია).

75 კგ. 1. ნ. გაგნიაშვილი (სსრ კავშირი) 2. ტ. იამაუჩი (იაპონია), 3. რ. პრასადი (კანადა) და ლ. ილიევი (ბულგარეთი).

ორი სამბისტით იყო წარმოდგენილი საქართველო ახალგაზრდების (19-20 წ.) მსოფლიო ჩემპიონატშიც და აქაც იგივე შედეგს მივაღწიეთ. მურთაზ თურქია (62 კგ) მსოფლიო ჩემპიონი გახდა (მან ფინალში მოგოლ ს. ბატმუნხს აჯობა), ხოლო კობა გურეშიძემ (მძიმე წონა) მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. პრიზიორთა სამეულები ამ წონაში ასე გამოიყურება:

62 კგ. 1. მ. თურქია (სსრ კავშირი), 2. ს. ბატმუნხი (მონგოლეთი), 3. დ. ვეხოვი (ბულგარეთი) და ჰ. ბურალა (საფრანგეთი).

მძიმე წონა. 1. ჟ. ორგილბორდი (მონგოლეთი) 2. ს. ფუძიტა (იაპონია), კ. გურეშიძე (სსრ კავშირი) და ი. გიურჩაკოვი (ბულგარეთი).

ყურადღების ცენტრში იყო, და ეს სავსებით ბუნებრივია, მოზრდილთა ტურნირი, რომელშიც სხვებთან ერთად ასპარეზობდა ცნობილი ქართველი ფალავანი მალხაზ ბერუაშვილი. აქ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. მძიმე წონაში გამარჯვება ყველაზე პრესტიჟული წარმატებაა, ამიტომ ჩვენი თანამემამულის გამოსვლას განსაკუთრებული ინტერესით მოველოდით. და ეს ინტერესი გამართლდა კიდეც. ბერუაშვილმა ღირსეულად ჩაატარა ყველა ორთაბრძოლა, დიდი უპირატესობით მოიგო ფინალი და მსოფლიო ჩემპიონი გახდა მძიმე წონაში.

როგორც ხედავთ, საქართველოს ხუთი სამბისტიდან სამშობლოში უმეჯლოდ არცერთი არ დაბრუნებულა. აი, წარმატებაც ამას ჰქვია!

ისე კი, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს XIV ჩემპიონატმა მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობას მოუყარა თავი. ლუჟნიკის მცირე არენის სარბიელზე 17 ქვეყნის 205-ზე მეტი ათლეტი გამოვიდა. პირველად სცადეს ძალები ამ რანგის ტურნირში კუბის, ვიეტნამის, შვეიცისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა.

სულ ოთხივე ასპარეზობის ჯამში მოპოვებული მედლების მიხედვით პრიზიორთა სამეული გამოიყურება ასე:

	ო.	ვ.	ბ.	ს.
სსრ კავშირი	29	5	4	38
მონგოლეთი	8	10	10	28
ბულგარეთი	—	9	16	25

ს უ რ ა თ ებ ზ ე: მურთაზ თურქია (მარცხნივ) და მალხაზ ბერუაშვილი

მასპინძლები არ ხუმრობენ

რა ჰქნას კარგმა მონარდემა, დროზე შაში თუ არ მოვაო, ნათქვამია. მართლაც, საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატის მონაწილე უცხოელ სპორტსმენთაგან მრავალმა ფავორიტმა ვერ გადალახა პირველი ეტაპი და ჯგუფურ ბრძოლებშივე გამოეთიშა ასპარეზობას. მაგალითად, ამერიკის ჩემპიონი ჯიმ ბაროფი, მისი თანამემამულე, საერთაშორისო რეიტინგით მე-2 მონარდე ტომ სერვესი, ამავე რეიტინგით მეექვსე გერმანელი ჰარალდ მირალხი, ჰოლანდიის ჩემპიონი ჟან ვან ინგენი და დანიის საუკეთესო მონარდე ლუც არენდტი. არც საქართველოს პირველი ჩემპიონატის გამარჯვებულს მოკლე ნარდში — ფოთელ ემზარ ლაითაძეს გაუღიმა ბედმა. ბრძოლას გამოეთიშა შარშანდელი ფინალისტი რევაზ კოპალეიშვილიც, აგრეთვე — გრძელ ნარდში საქართველოს ჩემპიონი ლეო რუხაძე.

საბოლოოდ, პირველი ტურის შემდეგ მოკლე ნარდში დარჩენილი 32 მონაწილიდან ყველაზე მეტი — 14 საქართველოს წარმომადგენელია, 9 მონარდე გერმანელია, 3 — ამერიკელი, 2— რუსი; თითო მონაწილე დარჩათ შვეიცარიის, ფინეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებს.

რაც შეეხება გრძელ ნარდს, აქ ყველა უცხოელი პირველსავე ეტაპზე გამოეთიშა ასპარეზობას, რაც იმით აიხსნება, რომ ნარდის ეს სახეობა საზღვარგარეთის ქვეყნებში არატრადიციულია. სამაგიეროდ, ქართველმა და აზერბაიჯანელმა მონარდეებმა იგუეს გრძელი ნარდი და მომდევნო ეტაპზეც უმთავრესად ისინი გავიდნენ.

ჯუჯინ...

გიორგი ეგნატაშვილის სახელობის დარბაზში გაიმართა საკავშირო პირველობის მორიგი შეხვედრა კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი ხვდებოდა დნეპროპეტროვსკის „ნტალს“.

შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 96:89 (53:48) თბილისელთა სასარგებლოდ.

თანხმობით არ დავიღუპებით!

მკითხველს ალბათ ახსოვს „ლელოში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციები (12 აპრილი, — „ახე დავიღუპებით ხალხო!“; 22 აპრილი — „უკვე დავიღუპეთ, ბატონო ავთანდილ!“), რაც თბილისში გრიბოედოვის ქუჩის 14 ნომერში მდებარე ნორჩ ჭოჭიდავეთა შეკიწროებას ეხებოდა — მოზარდებს საჭიროდენო ადგილი წაართვეს. საქართველოს სპორტსახკომმა თავის ინსპექციას დაავალა ამ საკითხში სიცხადის შეტანა. გთავაზობთ კომისიის დასკვნას.

კომისიის დასკვნა

გივი ყვარელაშვილის სახელობის ჭიდაობის კლუბის ფუნქციონირების შეწყვეტის გარემოებათა შესახებ

საქართველოს სპორტსახკომის ინსპექციამ შეისწავლა გივი ყვარელაშვილის სახელობის ჭიდაობის კლუბის ფუნქციონირების შეწყვეტის გარემოებანი და დაადგინა შემდეგი:

1. მწვრთნელების ა. ჭყონიას და ვ. სუთიაშვილის ინიციატივით 1980 წელს ნაწილობრივ შეკეთდა, მოეწყო გრიბოედოვის ქუჩაზე № 14 სახლში მიტოვებული პატარა სარდაფი და ამოქმედდა კლასიკური ჭიდაობის სექცია. კომკავშირის რაიკომმა კი აქ შექმნა გივი ყვარელაშვილის სახელობის კლუბი.

2. სარდაფი თავიდანვე მოითხოვდა შეკეთებას და კეთილმოწყობას, შაგრამ ეს არა და არ მოხერხდა. ბოლო. წლებში იქ სინესტემ და ანტისანიტარიამაც დაისადგურა. შექმნილი მდგომარეობის გამო ა. ჭყონია იძულებული გახდა, შეთანხმებოდა ათლეტური კლუბის დირექტორს გ. ხომერიკს სარდაფის ერთობლივ გამოყენებაზე. იმ პირობით, თუ ათლეტური კლუბი თავისი ხარჯებით ჩაატარებდა რემონტს და კეთილმოწყობდა. შეთანხმება მოხდა სიტყვიერად, რაიონული სპორტკომიტეტის გვერდის ავლით;

3. ათლეტურმა კლუბმა პირობა შეასრულა. ჩაატარა რემონტი, კეთილმოწყო და სარდაფის ფარათობიც გაიზარდა, რაზედაც ათიათასობით მანეთი დაიხარჯა, დამონტაჟდა ტრენაჟორები, მოწყობილობები, შეიძინეს ინვენტარი. ამის შემდეგ, ორივე მხარე „მოულოდნელი“ შედეგის წინაშე აღმოჩნდა. ორი კლუბის მუშაობა ერთ ჭერქვეშ ფაქტიურად შეუძლებელი გახდა. ჭიდაობის კლუბმა სტატუსის აღდგენა მოითხოვა. ათლეტურმა კლუბმა მოითხოვა გაწეული ფინანსური ხარჯების კომპენსაცია. დაიწყო დავა, რაც მეორე წელია გრძელდება. დავა გადაიზარდა ჭიდაობის სამყაროს, ოლიმპიურ კომიტეტსა და მთაწმინდის რაიონის ოფიციალურ ორგანოებს შორის უთანხმოებაში. მეტიც, პრესის ფურცლების დონეზე გაჩაღდა ურთიერთ შეურაცხყოფელი პოლემიკა, რამაც ჩიხში მოაქცია ჭიდაობის კლუბის აღდგენის საკითხი;

4. მიუხედავად დაძაბული ფსიქოლოგიური კლიმატისა და ფართობის უკიდურესად შეზღუდულობისა, მთაწმინდის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარესთან ზურაბ ბიბილეიშვილთან შეხვედრისას, რასაც წინ უსწრებდა ჩვენი მხრიდან სხვადასხვა დონეზე გაწეული თანმიმდევრული მუშაობა, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ გივი ყვარელაშვილის სახელობის კლუბის საქმიანობა განახლდება 1990 წლის IV კვარტალში. 1991 წლის დამდეგიდან კი სადაო სარდაფი მთლიანად გადაეცემათ მოჭიდავეებს;

5. ჭიდაობის კლუბის ფუნქციონირების აღდგენა არსებითად განაპირობა მთაწმინდის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის ზურაბ ბიბილეიშვილის საღმა, კონსტრუქციულმა პოზიციამ. ამასთან, უნდა აღინიშნოს აგრეთვე, საკითხის გადაწყვეტაში რაიონის სპორტკომიტეტის აქტიური როლი.

ტარიელ ჩუთლაშვილი,
ინსპექციის უფროსი.

ხალხური სპორტული თამაშები — საეკლესიო დღესასწაულებზე

ბურთაობა ძველ იმერეთში

საუკუნეების მანძილზე ფეოდალური ხანის იმერეთის ყოფაში დამკვიდრებულ ხალხურ, ეროვნულ სპორტულ თამაშობათა შორის ბურთაობას გამორჩეული ადგილი ეკავა, რომლის ნაირსახეობებმა (ქაკუნობა, ცხენბურთი, ლელობურთი და სხვა) ჩვენამდეც მოაღწია.

1651 წლის ივნისში ქუთაისს ესტუმრა რუსეთის ელჩობა ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი ივლიევის მეთაურობით. საპატიო სტუმრების პატივსაცემად იმერეთის სამეფო კარმა სხვა სანახაობებთან ერთად ცხენბურთიც წარმოადგინა.

ნ. ტოლჩანოვი წერს: „როდესაც ელჩები ალექსანდრე მეფესთან შეხვედრაზე მივდიოდით, ორივე მხარეს ბედაურებზე ამხედრებული ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი აზნაურები ბურთით თამაშობდნენ. ასევე, როცა ალექსანდრე სუფრასთან იჯდა, მოედანი გაანთავისუფლეს და აზნაურები, სანამ სუფრა გრძელდებოდა, ბურთით თამაშობდნენ“.

ბურთაობა მტკიცედ იყო დამკვიდრებული იმერელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. გარდა იმისა, რომ ის გართობის, დასვენების და ფიზიკური წრთობის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა, ხშირად მას ერის გამოსაჩენი მნიშვნელობაც ენიჭებოდა. ამის ნათელი დასტურია ცნობილი იტალიელი მისიონერის კასტელის ჩამოსვლა საქართველოში. ირკვევა, რომ საპატიო სტუმრის პატივსაცემად იმერეთის სამეფო კარს ცხენბურთელთა ასპარეზობაც გაუმართავს. ტტყობა, საპატიო სტუმარს მოსწონებია მისთვის მანამდე უცნობი სპორტის ეს სახეობა და საკუთარი თვალით ნახახი ჩაუხატავს კიდეც. ნახატზე ასე წაუწერია: „როდესაც ქუთაისში ჩავედი, სადაც ქართველთა მეფე ცხოვრობდა, პატივით მიმიღეს და მიჩვენეს ცხენით ბურთის თამაში, რომელშიც მონაწილეობდა მეფე ბევრი მაღალი თანამდებობის კაცთან ერთად“.

მრავალი ისტორიული წყაროა გვიდასტურებს, რომ საუკუნეების მანძილზე იმერეთის სამეფო კართან ვრცელი საასპარეზო მოედანი არსებობდა, სადაც იმართებოდა სამხედრო ვარჯიშობანი, სპორტული პაექრობანი თუ თეატრალიზებული დადგმები.

საუკუნეების მანძილზე დასავლეთ საქართველოში ლელობურთმა ფართოდ მოიკიდა ფეხი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სპორტის ეს საინტერესო და მიმზიდველი სახეობა შეისისხლხორცეს, შეიყვარეს იმერლებმა და გურულებმა, მეგრელებმა და აჭარლებმა. ლელობურთს თამაშობდნენ თავგამოდებით, ქალაქადაც და სოფლადაც; ცოლიანები ეჯიბრებოდნენ უცოლოებს, უბანი — უბანს, ქუჩა — ქუჩას.

მართალია ძველ ხონში ლელობურთი ყოველ უქმე დღეს იმართებოდა, მაგრამ ვერაფერი შეედრებოდა „გიორგობის“ დღესასწაულისადმი მიძღვნილ ლელობურთს და სხვა სპორტულ თამაშებს. ხონის „გიორგობა“ დიდ დღესასწაულად იყო მიჩნეული. მას ესწრებოდა მთელი იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი და ასე განსაჯეთ, მეფე-მთავრებიც კი თავს ვალდებულად თვლიდნენ დასწრებოდნენ ხონის „გიორგობას“.

„ქუთაისის ყველა საპატიო მოქალაქე, „წმინდა გიორგის“ დღესასწაულზე მიიჩქაროდა ხონში“, — წერდა ცნობილი რუსი მოგზაური ა. მურავიოვი.

ხონის „წმინდა გიორგისადმი“ მიძღვნილი ლელობურთი და სხვა სპორტული თამაშობები სცილდებოდა წმინდა სპორტულ ინტერესებს და რელიგიურ სამყაროში იჭრებოდა. ხონელებს სწამდათ, რომ 23 აპრილის ლელობურთი ხონიდან არ უნდა გასულიყო, თორემ ხალხის ღრმა რწმენით, მთელი წლის მანძილზე ქვემო იმერეთში ცუდი მოსავალი იქნებოდა. ამიტომ ყოველ ადგილობრივ მოსახლეს და თვით ზეიმში მონაწილე სტუმრებსაც ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი, რომ ხონის „გიორგობის“ ბურთაობა მოეგოთ. აი, როგორ აღწერს ამ დღესასწაულს ა. მურავიოვი, რომელიც მას 1846 წელს დასწრებია: „საეკლესიო მსახურობის დამთავრების შემდეგ საუკუნოვანი ცაცხვებით დაჩრდილულ ვრცელ მინდორზე წმინდა გიორგის სატაძრო ხატი გამოიტანეს, რათა პარაკლისში შეკრებილ ხალხსაც მიეღო მონაწილეობა. სამღვდელოების ახლოს იმერეთის თავადები შეიკრიბნენ. ხალხი მდუმარებით იდგა და მხოლოდ პარაკლისის დამთავრების შემდეგ გაისმა გასროლა. ეს იყო ნიშანი. დაიწყო უხსოვარ დროიდან შეუცვლელი და ეკლესიის მიერ თითქოს ნაკურთხი თამაშობანი. სასულიერო პირებმა ტაძრიდან უზარმაზარი ბურთი გამოიტანეს და გადაისროლეს ხალხში, რომელიც ორ ნაწილად გაიყო. თითოეულს სურდა თავისკენ წაეღო ბურთი. ერთ მხარეზე იყვნენ იმერეთის უხუცესი თავადის სეხნია წულუკუძის მემკვიდრეები, ხოლო მათ მოწინააღმდეგეებად გამოდიოდნენ იმერეთის სხვა თავადები. 90 წლის სეხნია, თავისიანებით გარშემორტყმული, ხის ჩრდილში იჯდა და ახალაგზრდებს ამხნევებდა. თამაშის დროს დამარცხებას თუ გამარჯვებას სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ხალხის რწმენით, იგი მთელი წლის მანძილზე ბედნიერების თუ უბედურების მაუწყებელი იყო. როდესაც მოთამაშეთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა, საეკლესიო პირებმა ბურთი ეკლესიაში შეიტანეს და მოწინააღმდეგენიც დაშოშმინდნენ“.

ნიკო ნიკოლაძე ხონის „გიორგობასთან“ დაკავშირებით იგონებს: „23 აპრილს დიდ ღვთაობას არათუ თავადაზნაურობა ესწრებოდა თავის უთვალავი მხლებლებით, გლეხ-კაცობაც ცოდვად თვლიდა გამოკლებოდა მას... ყველაზე უფრო წარმოუდგენელი ხალისით მთელი ხალხი ბურთის თამაშში იღებდა მონაწილეობას. ბურთი ყოველთვის მღვდელს, ხანდახან არქიელსაც, გამოჰქონდა მინდორზე, მოოქროვილი ვერცხლის სინზე.

გიორგობის დღესასწაული იმერეთის სხვა ქალაქებში და სოფლებშიც იმართებოდა. ამასთან დაკავშირებით 1897 წელს გაზეთ „ივერია“ წერდა: „სოფ-ოფშკვითი, (ქუთაისის მაზრა) 23 აპრილს „გიორგობა“ ვიუქმეთ და უღვინობის გამო ყველა ჭკვიანათ ვთამაშობდით და ემრიელად ვაგორებდით ბურთს ჩვენი საყდრის გალავანთან. მღვდელმა ეს ბურთი დიდი ამბით გამოიტანა საყდრიდან, წინ ბაირაღი მიუძღვის და მთელი ხალხი მას მიზდევს უკან დიდად მხიარული, ბურთი ელოში მხოლოდ ერთხელ გავიდა“.

საინტერესოა ერთი საკითხის გარკვევაც, რატომ დაუკავშირეს ამ ინციდენტს „წმინდა გიორგის“ დღესასწაულს ჩვენმა წინაპრებმა დიდი სპორტული თუ თეატრალიზებული სანახაობანი.

საფიქრებელია, რომ ეს კავშირი არ ყოფილა შემთხვევითი — საისტორიო წყაროებით თუ ხალხური თქმულებებით, „წმინდა გიორგი“ ხომ ძლიერების, ვაჟკაცობის და ხალხის ბედნიერების სიმბოლოდ იყო აღიარებული. ქართველმა ხალხმაც მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში თავის სიმბოლოდ „წმინდა გიორგი“ წარმოაჩინა და ეროვნული ხალხური სპორტული თამაშობები თავისი მრავალფეროვანი ნაირსახეობით — ვაჟკაცობის, ძლიერების,

მთავარია მონაწილეობა...

ჯანმრთელი მომავალი თაობა ერის სიძლიერის, მისი ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღის საფუძველი რომაა, ამას მტკიცება არ სჭირდება. სწორედ ამიტომაა საჭირო უფრო უნარიანად გავიარჯოთ ჩვენი პატარების გაკაჟებისა და ფიზიკური გაჯანსაღებისთვის. ფიზკულტურის ინსტიტუტის ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სპორტსკოლაც მოზარდთა ფიზიკურ აღზრდას ემსახურება. აქ მაღალკვალიფიციური მწვრთნელების ზედამხედველობით 1500 ბავშვი ვარჯიშობს.

პატარებთან მუშაობით სკოლამ საკმაოდ კარგ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი, აქ სამ თვეში ერთხელ ტარდება შეჯიბრება „მხიარული სტარტები“, რომელიც ნორჩ სპორტსმენთა დათვალიერებას წარმოადგენს.

სპორტთან ნაზიარები ყოველი ადამიანისგან შეიძლება დიდი სპორტსმენი არ დადგეს, მაგრამ სპორტი მას ფიზიკურადაც გამოაწრთობს და სულიერადაც ასაზრდოებს, მეგობრობასა და ურთიერთგატანას ასწავლის. ამ მიმართულებითაც მუშაობენ პატარებთან მათი მწვრთნელები და ამასობაში იბადება აზალი, განსხვავებული, ტრადიციული ჩარჩოებიდან თავდაღწეული მეთოდები. ამიტომ „მხიარული სტარტები“ ხშირად ზეიმს უფრო ემსგავსება ხოლმე, ვიდრე შეჯიბრებას, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

კვირას, 9 დეკემბერს, მძლეოსნობის მანეჟში მოწმენი გავხდით სწორედ ასეთი ზეიმისა, რომელსაც პატარებიც გულის ფანცქალით და მოუთმენლად ელოდნენ. დღეს არ ჩამოვთვლით გამარჯვებულებს, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ის შეჯიბრებაა, რომელშიც მთავარი მონაწილეობაა და არა გამარჯვება. უბრალოდ, აღვნიშნავთ, რომ გამარჯვებულ გუნდებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

თამუნა ფალავა

13 წლის ჩემპიონი

ჭადრაკის რესპუბლიკურ სასახლეში დამთავრდა საქართველოს პირველობა გოგოებსა და ჭაბუკთა შორის (18 წლის ასაკამდე). მასში გამარჯვებულებს მოსწავლეთა საკავშირო პირველობაში მონაწილეობის უფლება ეძლეოდათ.

გოგოების შეჯიბრებაში 11 მოჭადრაკე იბრძოდა. აქ თავი გამოჩინა 13 წლის ოსტატობის კანდიდატმა მაია ლომინეიშვილმა (თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლა), რომელსაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი ამეცადინებს. საინტერესოა, რომ მან წაგებით დაიწყო შეჯიბრება, წაგებითვე დაამთავრა, მაგრამ დანარჩენ 8 შეხვედრაში 7,5 ქულა მოაგროვა და დიდი უპირატესობით დაიკავა პირველი ადგილი. 6-6 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა: თამარ ფაჩულიამ (თბილისი) და ეკა გიორგაძემ (ქუთაისი). მათ შორის, უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა ფაჩულიას, რომელიც ლომინეიშვილთან ერთად გამოვა საკავშირო შეჯიბრებაში (იგი იანვრის დასაწყისიდან ვორონეჟში გაიმართება).

ჭაბუკთა შორის 13 შესაძლებლიდან 10 ქულით პირველ ადგილზე გავიდა ოსტატობის კანდიდატი კახა ხაბურზანია (თბილისი), რომელსაც ნახევარი ქულით ჩამორჩა ოსტატობის კანდიდატი რომან სიჯინავა (სენაკი). მათ მიიღეს საგზურები საკავშირო შეჯიბრებისა, რომელიც იანვრის პირველ რიცხვებიდან ტაშკენტში გაიმართება.

ლიდერი შეიცვალა

8 წყვილიდან ჯერჯერობით ყველაზე მეტი — 5 პარტია გადაიდო (ღვამიჩავა-ლაზარიშვილი, პ. ვაშაკიძე-ჩიქოვანი, გოგაძე-სხილაძე, თვაური-მიქაელიანი, სიჯინავა-პირაევი) თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა 62-ე ჩემპიონატის მეოთხე ტურში და ყოველი მათგანი საკმაოდ დაძაბულად წარიმართა.

ამ ტურის სხვა პარტიები ასე დამთავრდა: ნეჩაევი-ვ. ვაშაკიძე 1:0; ტიკურიშვილი-პოპოვი 0,5:0,5; გათიკოევი-პაქსაშვილი 0,5:0,5.

V ტურის შედეგები: ლაზარიშვილი-ტიკურიშვილი 0:1; ჰაქსაშვილი-ნეჩაევი 1:0; სხილაძე-პ. ვაშაკიძე 0,5:0,5; მიქაელიანი-გათიკოევი 0,5:0,5; პირაევი-თვაური 0,5:0,5; პოპოვი-სიჯინავა 0,5:0,5. გადაიდო ჩიქოვან-ღვამიჩავას და ვ. ვაშაკიძე-გოგაძის პარტიები.

მოიწყო I-III ტურების გადადებული პარტიების დამთავრებაც. აი, მათი შედეგები: I ტური: ჩიქოვანი-გათიკოევი 0,5:0,5; II ტური: პ. ვაშაკიძე-პოპოვი 0:1; თვაური-ვ. ვაშაკიძე 1:0; ნეჩაევი-ჩიქოვანი 0,5:0,5, გოგაძე-ლაზარიშვილი 0,5:0,5; III ტური: ჰაქსაშვილი-თვაური 1:0; ჩიქოვანი-გოგაძე 0:1.

ამრიგად, ხუთი ტურის შემდეგ, ლიდერი შეიცვალა. 3,5 ქულით დაწინაურდა იანის პოპოვი. მას კვალში მიჰყვებიან: ემილ მიქაელიანი — 3 (1), თემურ გათიკოევი, დავით პაქსაშვილი — 3-3, დავით ტიკურიშვილი — 2,5.

ᲨᲘᲜ — ᲙᲕᲐᲠᲪᲮᲚᲑᲔᲙᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ

მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში ახალგაზრდა მწვრთნელის ლალი დოლიძის მოწაფე ნატო ტატიშვილი ბოლო დროს სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევს. მან ამას წინათ, შეირაღებული ძალების პირველობაზე იმარჯვა, ხოლო რესპუბლიკურ ტურნირზე მრავალჭიდში რუსთაველ ოლგა ულერშპერგერთან ერთად ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ახლახანს კი ნატომ თბილისის თასის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა. ოსტატობის პროგრამით მოასპარეზეთა შორის მან ყველაზე მეტი — 54,7 ქულა მოაგროვა და დაეუფლა საპატიო პრიზს. გარდა ამისა, ტატიშვილი ბურთთა და უსაგნოდ ვარჯიშში პირველი იყო: რგოლით, გურზებითა და ბაფთით ვარჯიშში მეორე ადგილზე გავიდა, სახტუნელათი — მესამეზე.

მრავალჭიდში გამარჯვებულს 0,2 ქულით ჩამორჩა ბელა ყილიაევა (მწვრთნელი ნელი სალაძე). მან განსაკუთრებით ასპარეზობის ბოლო დღეს გამოიჩინა თავი — არავის დაუთმო პირველობა რგოლით, გურზებითა და ბაფთით ვარჯიშში, სახტუნელათი და უსაგნოდ ვარჯიშში კი მეორე ადგილი ხვდა წილად.

ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე ეკა მეიშვილი (მწვრთნელი ნ. სალაძე) და ნატალია გოდუნოვა (მწვრთნელი ეთერ ალექსიძე) მრავალჭიდში შესაბამისად მესამე და მეოთხე ადგილებზე გავიდნენ. ცალკეული საგნებით ასპარეზობისას გოდუნოვამ ერთი პირველი და ერთი მესამე, ხოლო მეიშვილმა ერთი მეორე და სამი მესამე ადგილი დაიკავა. დანარჩენ 16 სპორტსმენს შორის, მხოლოდ ელენე მიროტაძემ (მწვრთნელი ლიუბოვ სერგოვანცევა) შეძლო ერთხელ ასულიყო კვარცხლბეკზე — იგი მესამე იყო ბურთით ვარჯიშში.

პირველობისთვის დიდი კონკურენცია მაინცდამაინც არც ნორჩ ტანმოვარჯიშეებს შორის ყოფილა. მართალია, ოსტატობის კანდიდატების პროგრამით 27 სპორტსმენი გამოდიოდა, მაგრამ ყველა ჯერდო ოთხმა სპორტსმენმა გაიანაწილა. მრავალჭიდში პირველი-მესამე ადგილებზე შესაბამისად მაია ლომინეიძე, თამრიკო ქოიავა და ვალენტინა კოსტინა გავიდნენ, ცალკეული საგნებით ვარჯიშში — ცერვეული ბურთი პირველი და ერთი მეორე ადგილი დაიკავა, ქოიავამ კი ერთი პირველი და ხუთი მეორე ადგილი. ოთხ სახეობაში მესამე იყო კოსტინა, ხოლო ორში — სანიკიძე.

ახლა თბილისელ ტანმოვარჯიშეებს წლის ყველაზე პასუხსაგები შეჯიბრება ელით. 20 დეკემბერს ისინი რესპუბლიკის სხვა ტანმოვარჯიშეებთან ერთად კვლავ გამოვლენ სარბიელზე და საქართველოს თასს გაითამაშებენ.

ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲧᲕᲔᲚᲐ ოლიმპიადას აქვს თავის სიმბოლიკა, რომელიც სპორტის ისტორიაში რჩება, როგორც ხელოვნების თავისებური, ხრულიად ორიგინალური ნიმუში და ამასთან, შინაარსით ეპოქის ხუნთქვასაც გამოხატავს.

ოლიმპიური სიმბოლიკის შემუშავება, მისი დამზადება და ტირაჟირება, ხუვენირებზე გამოყენება ნებადართულია ოლიმპიური ქარტიით. წელიწადნახევარზე ცოტა მეტი რჩება ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებამდე. ოლიმპიადა 92-ის მასპინძლებმა ჯერ კიდევ ხეულის თამაშებზე წარმოადგინეს მომავალი ოლიმპიური ასპარეზობის შრავალსახოვანი სიმბოლიკა.

ამას წინათ, მადრიდში, ჟურნალისტებს წარუდგინეს ბარსელონის ზაფხულის ოლიმპიადის ოფიციალური ემბლემა, თილისმა, ოფიციალური პლაკატები, სპორტის ცალკეული სახეობების აფიშები, პიქტოგრამები და ა. შ. შევეცდებით „ლელოს“ მკითხველს თანდათან გავაცნოთ ესენი.

ხურათზე თქვენ ხედავთ თამაშების ოფიციალურ ემბლემას (მარცხნივ, ავტორი იოსეპ ტრიასი) და თილისმას, რომელსაც კობი ჰქვია.



„ᲛᲘᲚᲐᲜᲛᲐ“ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ

საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება ფეხბურთში დიდად პრესტიჟული შეჯიბრებაა. ყოველი წლის დასასრულს, დეკემბერში, იაპონიის დედაქალაქში ერთმანეთს ხვდებიან ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის მფლობელი, ამ მატჩში გამარჯვებული ეუფლება ე. წ. საკონტინენტთაშორისო თასს. სადღეისოდ არსებულ პირობებში ეს შეჯიბრება, ფაქტიურად, ავლენს მსოფლიოში უძლიერეს საკლუბო გუნდს.

განვლილ შაბათს ტოკიოში ერთმანეთს შეხვდნენ იტალიის „მილანი“ და პარაგვაის „ოლიმპია“. გაიმარჯვეს იტალიელმა ფეხბურთელებმა — 3:0 და შეინარჩუნეს შარშან მოპოვებული საკონტინენტთაშორისო თასი. მატჩს 62 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ამ მატჩებში მეტი გამარჯვება აქვთ მოპოვებული სამხრეთამერიკელებს (17), ევროპელებმა კი პრიზი 12-ჯერ დაისაკუთრეს.

გთავაზობთ გამარჯვებული გუნდების ვინაობას:

1960 წელი. „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი).
1961 წ. „პენიაროლი“ (ურუგვაი)
1962 წ. „სანტოსი“ (ბრაზილია)
1963 წ. „სანტოსი“ (ბრაზილია)
1964 წ. „ინტერი“ (იტალია)
1965 წ. „ინტერი“ (იტალია)
1966 წ. „პენიაროლი“ (ურუგვაი)
1967 წ. „რეხინგი“ (არგენტინა)
1968 წ. „ესტუდიანტესი“ (არგენტინა)
1969 წ. „მილანი“ (იტალია)
1970 წ. „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია)
1971 წ. „ნასიონალი“ (ურუგვაი)
1972 წ. „აიაქსი“ (ჰოლანდია)
1973 წ. „ინდეპენდიენტე“ (არგენტინა)
1974 წ. „ატლეტიკო“ (ესპანეთი)
1975 წ. თასი არ გათამაშებულა.
1976 წ. „ბაიერნი“ (გფრ)
1977 წ. „ბოკა ხუნიორსი“ (არგენტინა)
1978 წ. თასი არ გათამაშებულა.
1979 წ. „ოლიმპია“ (პარაგვაი)
1980 წ. „ნასიონალი“ (ურუგვაი)
1981 წ. „ფლამენგო“ (ბრაზილია)
1982 წ. „პენიაროლი“ (ურუგვაი)
1983 წ. „გრემიო“ (ბრაზილია)
1984 წ. „ინდეპენდიენტე“ (არგენტინა)
1985 წ. „იუვენტუსი“ (იტალია)
1986 წ. „რივერ-პლეიტი“ (არგენტინა)
1987 წ. „პორტო“ (პორტუგალია)
1988 წ. „ნასიონალი“ (ურუგვაი)
1989 წ. „მილანი“ (იტალია)
1990 წ. „მილანი“ (იტალია)

ᲐᲨᲨ: ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ

ამერიკის შეერთებული შტატები ახალ ბაზრად გადაიქცა მდიდარი ევროპული კლუბების სელექციონერთათვის. მოხვდნენ რა პირველად ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში, ამერიკელმა ფეხბურთელებმა ტალანტებზე მონადირეთა დიდი ყურადღება დაიმსახურეს. რამდენიმე მოთამაშე ჯერ კიდევ ჩემპიონატის დროს შეიძინეს და მას შემდეგ ევროპელთა ინტერესი აშშ-ის ნაკრების შინაური გამოსვლების მიმართაც გაცხოველდა. მაგალითად, „მარლბორო ქაფ“-ის ტურნირზე გამართულ შეხვედრას ამერიკელებსა და პორტუგალიის კლუბ „ბენფიკას“ შორის (იგი მასპინძლებმა მოიგეს 2:1) ევროპული გუნდების ექვსი წარმომადგენელი ესწრებოდა.

აღსანიშნავია, რომ ევროპული კლუბებს ამგვარი ინტერესი ამერიკელი ფეხბურთელებისადმი ოდნავადაც არ „აბრაზებს“ აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციას. როგორც ამერიკული პრესა იტყობინება, ფედერაციას ესმის, რომ მხოლოდ ევროპაში თამაშით აიმაღლებენ ოსტატობას ამერიკელი ფეხბურთელები.

თუ თამაშის მაღალი დონის მიღწევა გვსურს, — თქვა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების მოთამაშემ ჯონ ჰარკსმა,— ევროპულ კლუბებში უნდა გადავდეთ. იქ მოხვედრა ჩემი მიზანია. უაზრობაა, სოფლის გუნდში თამაში და ამავე დროს, მსოფლიო ჩემპიონატში წარმატების მიღწევაზე ფიქრი.

პირველხარისხოვან ფეხბურთელად ჩამოყალიბებისათვის ყოველდღიურად საუკეთესო ოსტატებთან უნდა ვივარჯიშოთ, — ამბობს მეკარე ტონი მეოლა — როდესაც იტალიაში ჩავედით, წარმოდგენაც არ გვქონდა ფეხბურთში ჩვენს ნორჩობაზე. ევროპელი ოსტატების თამაშის ნახვის შემდეგღა მივხვდით ამას.

ამჟამად იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე აშშ-ის ნაკრების შვიდი მოთამაშე ევროპაშია. სამი სხვადასხვა კლუბი გამოდის, ოთხი მათგანი კი საწვრთნელ ბანაკებში იმყოფება შეკრებაზე. ამის გარდა, კიდევ ორმა ამერიკელმა მიიღო ევროპული გუნდების მიწვევა.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელთა გაყიდვით მიღებული შემოსავლის ნაწილს იღებს ქვეყნის ფედერაციაც — ეს თანხა თითოეულ მოთამაშეზე ტრანსფერული გადასახადის სახით 400 ათას დოლარს შეადგენს.

მოამზადა ᲑᲔᲚᲐ ᲯᲘᲚᲐᲕᲠᲐᲛ

ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲙᲣᲠᲝᲒᲘᲚᲔᲨᲘ

მონტევიდეოში (ურუგვაი) მიმდინარეობდა სამხრეთ ამერიკის თასის მატჩი ადგილობრივ „ნასიონალსა“ და „არგენტინოს ხუნიორსს“ შორის.

ამ პოპულარული კლუბების შეხვედრა მუდამ დიდ ინტერესს იწვევს ფეხბურთის მოყვარულთა შორის, მაგრამ ამჯერად, საინტერესო არაფერი მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ 15-წუთიან დებოშს, რომელიც სტადიონის ტრიბუნებზე ატყდა. თამაში თავიდანვე უაღრესად მწვავედ, უხეშად მიმდინარეობდა. ფეხბურთელები არ ერიდებოდნენ არაფერს, იყო ხშირი შეტაკებანი, ამას დაემატა ჩილელი მსაჯის შეცდომებიც.

რის ვინაჩრობით მატჩი დასრულდა (3:1 „ნასიონალის“ სასარგებლოდ), მაგრამ აქ უკვე არგენტინელი ფეხბურთელები დაესხნენ თავს მსაჯს ლანძღვა-გინებით, პოლიციამ სცადა წესრიგის დამყარება, მაგრამ ამან კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება. მრავალი გულშემატკივარი დააპატიმრეს და საყურობილეში ვაგზავნეს, ხულიგნობის მო[illegible] ფეხბურთელთა საქმე კი გადაეცა [illegible] ადისციპლინო კომისიას.

ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲜᲡᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘ

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

რედაქციაში კვლავ შემოდის შეკითხვები მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის პირველადი რგოლის — ადგილებზე გამაჯანსაღებელი კლუბების შექმნასთან დაკავშირებით

● ვის ირჩევენ გამაჯანსაღებელი კლუბის კატითაურად (თავმჯდომარედ) და მის მოადგილედ?

— კატითაურად ირჩევენ ყველაზე უნარიან ორგანიზატორს, საქმის მცოდნე მუშაკს. მოადგილედ აუცილებელია რეკომენდაცია მიეცეს მედიცინის დარგის წარმომადგენელს. თუ კატითაურად მედიცინის მუშაკს აირჩევენ, მაშინ მოადგილედ აუცილებლად ფიზკულტურის სპეციალისტი უნდა იყოს.

● სოფლად გამაჯანსაღებელი კლუბის შექმნის შემთხვევაში აქვს თუ არა კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას უფლება სპორტული ბაზები გადასცეს გამაჯანსაღებელ კლუბს?

— ცხადია აქვს. კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა თავად გამოდის გამაჯანსაღებელი კლუბის ერთ-ერთ დამფუძნებლად, რაც მას უფლებას აძლევს კლუბს გაუწიოს მატერიალური დახმარებაც კი, გადასცეს ფულადი სახსრები, რაც მიზნობრივადაა გამოყოფილი და მეთოდისტის შტატი. იგივე წესი ვრცელდება სამრეწველო ორგანიზაციებზე და დაწესებულებებზე.

● რაიონში, ქალაქში რამდენი გამაჯანსაღებელი კლუბი შეიძლება შეიქმნას?

— იმდენი, რამდენიც ეს საჭირო იქნება. მათ შორის ერთი, რომელიც ადგილობრივი ფიზკულტურული და სამედიცინო ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით იქმნება, გვევლინება, როგორც სათაო ორგანიზაცია.

• • •

გამაჯანსაღებელი კლუბები უკვე შეიქმნა რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში. დეპეშებით გვაცნობეს, რომ კლუბების დამფუძნებელი კრებები ჩატარდება:

12 დეკემბერს — ᲐᲓᲘᲑᲔᲜᲨᲘ;

13 დეკემბერს — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲨᲘ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ, ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲮᲣᲚᲝᲨᲘ;

14 დეკემბერს — ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲨᲘ;

20 დეკემბერს — ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲨᲘ.

მოყვარული პროფესიონალთა შორის

(დასასრული)

მარტი. ჯარგად გამოვიდა თურქეთის მრავალდღიან რბოლაში, რომელშიც საქართველოს ნაკრები ცალკე გუნდად მონაწილეობდა. მოიგო 4 ეტაპი, თან რამდენჯერმე საპრიზო ადგილები დაიკავა.

აპრილი. საკავშირო ჩემპიონატი მრავალდღიან ველორბოლაში, ტრადიციულად, წელიწადში ორჯერ ტარდება. გაზაფხულის შეჯიბრებაში დავიდენკო ორ ეტაპზე პირველი იყო, ერთხელ მეორე და ერთხელაც — მესამე.

თვის ბოლოს იტალიაში გაიმართა მრავალდღიანი რბოლა — „ჯირო რეჯუონი". საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში, რომელმაც საერთო ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა, დავიდენკოც გამოდიოდა. რამდენიმე ეტაპზე იგი პრიზიორთა რიგებში მოხვდა.

მაისი. იაპონიაში ჩატარდა ერთდღიანი რბოლის სერია. ერთი ასეთი რბოლა თბილისელმა ველოსიპედისტმა მოიგო, ერთში კი მეორე ადგილი დაიკავა.

ივნისი-ივლისი. ამ პერიოდში უაზახეთის ტრასაზე, ტრადიციულად, ერთდღიანი რბოლა ეწყობა. წლევანდელი შეჯიბრებები თავისებურ რეპეტიციას წარმოადგენდა მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომლის მონაწილე დავიდენკოც უნდა ყოფილიყო. იგი ინტენსიურად ვარჯიშობდა ალმა-ათაში, ბრწყინვალე ფორმაშიც იყო, მაგრამ ნაკრების მწვრთნელთა შემადგენლობაში საფუძვლიანი ცვლილებები მოხდა და ახალმა მთავარმა მწვრთნელმა (ნიკოლოზ გორელოვმა), ყველასთვის მოულოდნელად, თბილისელი ველოსიპედისტი არ ჩარიცხა გუნდში. სამწუხაროდ, ამგვარი დისკრიმინაციული გამოხდომები აღარ გვიკვირს.

აგვისტო. გფრ-ის გზებზე მოეწყო მრავალდღიანი ველორბოლა. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში, რომელიც იქ საუკეთესო აღმოჩნდა, ვასილ დავიდენკოც იყო.

სექტემბერი. ყირიმში მეორედ ჩატარდა საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლა. დავიდენკომ ოთხი ეტაპი მოიგო, ორჯერ მეორე და ერთხელ მესამე ადგილები დაიკავა. გუნდურ პირველობაში წარმატება პროფკავშირების წარმომადგენლებს ხვდათ. დავიდენკო მათ შორის იყო. მას პირად ასპარეზობაშიც შეეძლო გამარჯვება, მაგრამ სუსტად გამოვიდა დაყოფილი სტარტით რბოლაში (ეს სახეობა ახალგაზრდა ველოსიპედისტის „აქილევსის ქუსლია" დღემდე) და ამის გამო, საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილი დაიკავა.



ვასილ დავიდენკოს ფინიში ტოკიოში გამართულ შეჯიბრებაზე.

ოქტომბერი. ვენესუელაში გამართულ მრავალდღიან ველორბოლაში ხუთ ეტაპზე პირველი იყო (ნაკრებში მას, უმთავრესად, ეტაპებზე გამარჯვება ევალება, რაც, პირველ რიგში, გუნდური გამარჯვებისთვის არის საჭირო. თბილისელი ველოსიპედისტი ამ ამოცანას წარმატებით ართმევს თავს).

ოქტომბერი-ნოემბერი. მექსიკის ველოტური საპრემიო ფონდით მსოფლიოში მესამე რბოლაა „ტურ დე ფრანსისა" — და „ჯირო დ' იტალიის" შემდეგ. ამიტომაც პროფესიონალთა შორის საკმაო პოპულარობით სარგებლობს. დავიდენკომ ამ პასუხსაგებ შეჯიბრებაში ოთხი ეტაპი მოიგო და ორჯერ მეორე იყო. საბჭოთა ნაკრებმა, რომლის ერთ-ერთი ლიდერი ვასილ დავიდენკო გახლდათ, გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავა.

ასეთია, მოკლედ თბილისელი მოყვარული ველოსიპედისტის წლევანდელ წარმატებათა ნუსხა. ვასილ დავიდენკომ, როგორც ზემოთ ვთქვით, პროფესიონალთა ყურადღებაც მიიპყრო, როგორც ერთ-ერთმა ყველაზე პერსპექტიულმა სპორტსმენმა.

ტურნირი — რეკორდების

გუშინ შიუნხენში, „ოლიმპია ჰალეს" კორტებზე დაიწყო წლევანდელი საჩოგბურთო სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი — „დიდი მუზარადის" თასის გათამაშება, რომლის საპრიზო ფონდი 6 მილიონ დოლარს შეადგენს და რომელშიც მონაწილეობენ ის სპორტსმენები, ვინც „დიდი მუზარადის" ოთხივე შეჯიბრებაში (ავსტრალიის, საფრანგეთის ღია ჩემპიონატები, უიმბლდონი და აშშ-ის ღია ჩემპიონატი) ყველაზე მეტი ქულა დააგროვა.

ქულათა დარიცხვა და ტურნირის 16 მონაწილის შერჩევა ასეთი პრინციპით ხდებოდა: გამარჯვება ამა თუ იმ შეჯიბრებაში — 600 ქულა. ფინალში თამაში, — 450, ნახევარფინალში — 300 და ასე შემდეგ დაღმავალი გზით — 150, 75, 40, 20 ქულა. პირველ ტურშივე წაგებული სპორტსმენი იღებდა 2 ქულას, ამ პრინციპით შეირჩა „დიდი მუზარადის" თასის თექვსმეტი მონაწილე:

1. სტეფან ედბერგი (შვეცია) — 1054 ქულა, 2. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — 1050, 3. ბორის ბეკერი (გერმანია) — 902, 4. ანდრე აგასი (აშშ) — 900, 5. ანდრეს გომესი (ეკვადორი) — 679, 6. პიტ სამპრასი (აშშ) — 677,7, გორან ივანიშევიჩი (იუგოსლავია) — 492, 8. იონას სვენსონი (შვეცია) — 435,9, თომას მუსტერი (ავსტრია) — 415, 10. ჯონ მაკინროუ (აშშ) — 377, 11. დევიდ უიტონი (აშშ) — 377, 12. იანიკ ნოა (საფრანგეთი) — 362, 13. ანდრეი ჩერკასოვი (სსრკ) — 322, 14. მათს ვილანდერი (შვეცია) — 302, 15. აარონ კრიკშტეინი (აშშ) — 265, 16. მაიკლ ჩანგი (აშშ) — 265.

მაგრამ, როგორც ცნობილია, მსოფლიოს რამდენიმე წამყვანმა ჩოგბურთელმა უარი თქვა ამ ტურნირში თამაშზე. მათ შორისაა ბორის ბეკერი, ჯონ მაკინროუ, მათს ვილანდერი და ამ ცოტა ხნის წინ ტრავმირებული ანდრე აგასი. მა[illegible]ნაცვლად ორგანიზატორებმა ჩართ[illegible] ეს: ანრი ლეკონტი (საფრანგეთი) — 230 ქულა, კევინ კარენი (აშშ) — 225, კრისტინ ბერკსტრიომი (შვეცია) — 210 და ბრედ ჯილბერტი (აშშ) — 190.

რამდენიმე სიტყვა პრემიებზე. გამარჯვებული ჩოგბურთელი მიიღებს მანამდე არნახულ ჰონორარს — 2 მილიონ დოლარს. დანარჩენებსაც შესაბამისად მაღალი ფულადი პრემიები გადაეცემათ, ასე რომ, განაწყენებული არვინ დარჩება, ასე გასინჯეთ, პირველსავე წრეში დამარცხებულიც კი, ვინაიდან ტურნირში მონაწილეობა უკვე თავისთავად 100 ათას დოლარიან ჰონორარს გულისხმობს.

ტაისონი გზას იკაფავს

როგორც ცნობილია, მძიმე წონის პროფესიულმა მოკრივემ, ამერიკელმა მაიკ ტაისონმა აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული დაკარგა მიშდინარე წლის 11 თებერვალს ტოკიოში ჯეიმს დუგლასთან (ისიც აშშ-დანაა) შეხვედრის დროს. თავის მხრივ, დუგლასიც სულ რამდენიმე თვეს იჯდა „ტახტზე", სანამ მას პირველობა არ ჩამოართვა მესამე ამერიკელმა მოკრივემ ევანდერ ჰოლიფილდმა.

ტაისონი, ცხადია, ადვილად ვერ შეურიგდებოდა თავის მარცხს და ამ ხნის განმავლობაში, რევანშისთვის ემზადებოდა. მაგრამ პროფესიული კრივის ორგანიზაციები მტკიცედ იცავენ იერარქიულ პრინციპებს და ტაისონსაც, მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრამდე, რამდენიმე საკვალიფიკაციო ბრძოლა უნდა ჩაეტარებინა.

ერთი ასეთი შეხვედრა გაიმართა გასულ შაბათს, ქალაქ ატლანტიკ-სიტიში (ნიუ-ჯერსის შტატი). მსოფლიოს ექსჩემპიონის მეტოქე ამჯერად იყო ამ ტიტულის ერთ-ერთი პრეტენდენტი ალექს სტიუარტი. ამერიკელ მიმომხილველთა განცხადებით, ტაისონმა დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მთავარ ბრძოლამდე.



ამერიკელი მძიმე წონის მოკრივეების ჯეიმს დუგლასისა (მარცხნივ) და ევანდერ ჰოლიფილდს შორის შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია მთელს მსოფლიოში. ეს შეხვედრა იყო მსოფლიო კრივის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული — მისი საპრიზო ფონდი შეადგენდა... 28 მილიონ დოლარს. მსოფლიო ჩემპიონი ჯეიმს დუგლასი მეტოქესთან ნოკაუტით დამარცხდა მესამე რაუნდში.

კალეიდოსკოპი

● **გერმანიის** სპორტულმა კავშირმა ყოფილი გდრ-ის მიწებზე სპორტის განვითარებისათვის 72,6 მილიონი მარკა გამოჰყო. ამ თანხამ ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებულ გერმანიაში სპორტის სათანადო დონეზე შენარჩუნებას.

● **მალაიზიის** ოლიმპიური საბჭოს პრეზიდენტმა ხამზა აბუ სამახმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა უმასპინძლებს 1998 წლის თანამეგობრობის თამაშებს. როგორც ცნობილია, ეს საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე.

● **42 წლის** შესვენების შემდეგ რუმინეთში კვლავ ამოქმედდა პროფესიულ მოკრივეთა ლიგა.

● **ყოფილ** მსოფლიო ჩემპიონს მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, გერმანელ მაქს შმელინგს დაბადების 85 წლისთავზე მეგობრებმა 20 500 მარკა აჩუქეს. იუბილარმა ეს თანხა „დიოჩე სპორტჰილფის" ფონდს გადასცა.

● **გერმანიაში** სტუმრად მყოფი ინგლისელი ცხენოსანი კევინ ვუდბორნი შინ ფეხის უმძიმესი ტრავმით დაბრუნდა. მაგრამ ეს ტრავმა მან ჯირითის დროს კი არ მიიღო, არამედ... ფეხბურთის თამაშისას.

● **ფეხბურთის** გულშემატკივრები საკუთარი გუნდის გამარჯვებას სხვადასხვაგვარად გამოხატავენ, გერმანელი მოყვარულები კი ყოველი გატანილი გოლის შემდეგ მღერიან. ასე მაგალითად, დორტმუნდის „ბორუსიის" გულშემატკივრებს ამოჩემებული აქვთ მარში ვერდის ოპერა „აიდიდან", „კიოლნის" თაყვანისმცემლებს კი ბეთჰოვენის „სიხარულის ოდა".

● **ტაილანდის** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ მათი ქვეყანა უსათუოდ წამოაყენებს თავის კანდიდატურას 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციაზე.

● **ლისაბონში** გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების თანახმად პორტუგალიის ფეხბურთის მოყვარულთა 70 პროცენტი მხარს უჭერს „ბენფიკას". ამ განცხადებას ეჭვის ქვეშ აყენებენ ორი სხვა პოპულარული კლუბის — „პორტუსა" და „სპორტინგის" ხელმძღვანელები.

კალეიდოსკოპი

„სპორტპროგნოზი"

49-ე ტირაჟის შედეგები

(9 დეკემბერი)

1—X, 2—2, 3—X, 4—X, 5—1, 6—X, 7—1, 8—1, 9—2, 10—2, 11—1, 12—1, 13—2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. „სამპდორია" — „რომა" (მე-7 წყვილი) და „ტორინო" — „იუვენტუსი" (მე-8 წყვილი) თამაშების გადატანის გამო შედეგები განსაზღვრულია წილისყრით.

„სპორტპროგნოზი"

„C-13" სპეციალური ტირაჟის პროგრამა, რომელიც შედგენილია შაიბიან ჰოკეიში ცსკა-ს, მოსკოვის „დინამოს" შეხვედრებზე ნხლ-ს კლუბებთან (31. XII. 1990 — 15. I. 1991).

31 დეკემბერი.
1. „ნიუ-იორკ რეინჯერსი" — ცსკა

1 იანვარი
2. „ჩიკაგო ბლეკ ჰოუქსი" —ცსკა
3. „ტორონტო მეიპლ ლიფსი" — „დინამო" (მოსკოვი)

3 იანვარი
4. „ჰარტფორდ უეილერსი" — „დინამო" (მოსკოვი)

4 იანვარი
5. „კალგარი ფლეიმზი" — ცსკა

6 იანვარი
6. „ედმონტონ ოილერზი" —ცსკა
7. „ნიუ-ჯერსი დევილზი" — „დინამო" (მოსკოვი)

8 იანვარი
8. „ვაშინგტონ კეპიტალსი" — „დინამო" (მოსკოვი)

9 იანვარი
9. „ვინიპეგ ჯეთსი" — ცსკა

10 იანვარი.
10. „ფილადელფია ფლაიერსი" — „დინამო" (მოსკოვი)

12 იანვარი
11. „პიტსბურგ პინგვინსი" — „დინამო" (მოსკოვი)

13 იანვარი
12. „ვანკუვერ კანაქსი" — ცსკა

15 იანვარი
13. „კვებეკ ნორდიქსი" — „დინამო" (მოსკოვი)

შენიშვნა: ზედველობაში მიიღება თამაშის ძირითადი დროის შედეგი. ტირაჟის ნომრის მომანიშნებელ უჯრედებში უნდა ჩაიწეროს „C-13", ბილეთები მიიღება 52-ე ტირაჟის ბილეთების მიღების ვადებში.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!

სპორტულ ლატარიებში („სპორტლოტო" და „სპორტპროგნოზი") ფონდების ამოწურვის გამო 1990 წლის 51-ე ტირაჟიდან ავტომანქანა „ჟიგული" ვაზ—21063 აღარ გათამაშდება.

საქსპორტლოტო.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჭიჭინაძე კორექტორები ც. ჩიტიშვილი და ქ. ქავთარაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი" — 93-97-20, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორ[illegible] დენოხანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20